სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/01

ქ. თბილისი

26 იანვარი 2026 წ.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის №01-05-04/70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის დავით ხვედელიძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 იანვრის №01-05-02/01 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის №01-05-04/70 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) წესის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ვერიფიკატორი დარგის მიმართულებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული სტუდენტი. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

2. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის მუშაობაში არ უნდა მონაწილეობდეს პირი, რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის წევრი ვალდებულია, განაცხადოს არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით.

3. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის ხელმძღვანელი ჯგუფის წევრების ჩართულობით, პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ადგენს ვერიფიკაციის პროცესის სამოქმედო გეგმას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

4. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფი ვალდებულია, შემუშავებული გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების რაოდენობიდან გამომდინარე, მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში.

5. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფი ვერიფიკაციის სამუშაოების დასრულების შემდეგ ვერიფიკაციის დასკვნას წარუდგენს ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის ხელმძღვანელს.

6. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის ხელმძღვანელი ვერიფიკაციის ციკლის დასრულების შემდეგ განხორციელებული საქმიანობის შესახებ დეტალურ დასკვნას წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსს.

7. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის მუშაობის შედეგები გამოყენებული იქნება პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და პროგრამების განვითარების მიზნით.";

ბ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.".

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**